PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საქართველო განათლების“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრები: გიორგი ბერაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

II. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 მარტის №300605 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ლევან მადათოვი, წევრი: გიორგი ბერაია) დაევალა, შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში (მარნეული, შოთა რუსთაველის 13ბ), „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით და „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების მხრიდან სრულფასოვანი შეფასების მიზნით, დისტანციურად ჩართვამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 14 აპრილს, 14.30 საათზე განხორციელდა ჩართვა. შეხვედრამ ჩაიარა მშვიდ გარემოში. როგორც ცნობილია შ.პ.ს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი, რომელიც ახორციელებს „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მარნეულში და ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14.06 გადაწყვეტილებით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 სტუდენტს.
ექსპერტთა ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა ყველა იმ გარემოების შესწავლა, რაც უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 40 პროფესიული სტუდენტით გაზრდისთვის დაწესებულების შესაძლებლობების დადგენასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას.
დისტანციური ჩართვისას შესწავლილ იქნა:
ა) მარნეულში ადმინისტრაციული თანამშრომლების კომპეტენცია;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამის მართვის სპეციფიკა;
ბ) პროგრამის განხორციელების პირობები კოლეჯში: აუდიტორიები; ადგილების რაოდენობა; მატერიალური რესურსი, რაც უკავშირდება მოდულების განხორციელებას; ადამიანური რესურსები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

გ) პროგრამის განხორციელების პირობები კლინიკური პრაქტიკის ობიექტებზე: მათი შესაძლებლობები (განყოფილებები,პროფესიულ სტუდენტთა ერთდროული მიღების შესაძლებლობები, „საექთნო განათლების“ მოდულური პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ცოდნა;

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ “მოდულების განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. ექსპერტების მიერ განხორციელდა ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და შესაბამის პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება. შემოწმდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები და განხორციელდა მათთან გასაუბრება ონლაინ რეჟიმში.
ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის მართვის პრაქტიკა და გამოიკვეთა, რომ კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მომსახურების უზრუნველსაყოფად, შექმნილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. მარნეულის კოლეჯის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: დირექტორი, სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სამეურნეო და უსაფრთხოების მენეჯერი, კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი, რეგისტრატორი, დამლაგებელი. კოლეჯში საქმისწარმოება მიმდინარეობს დოკუმენტბრუნვის ერთიანი ელექტრონულ სიტემაში (e-Flow).

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, დათვალიერების და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული წარმოდგენილ დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

IV. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

VI .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

კლინიკური პრაქტიკის განსახორციელებლად პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ შეესაბამება „საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

VII.განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1. კოლეჯს ეძლევა რეკომენდაცია განსაზღვროს კონკრეტული მოდულების განმახორციელებელი პირები და რომელ მასწავლებლებს მოიაზრებს საჭიროების შემთხვევაში ამ მოდულების განმახორციელებლად.
2. დაარეგულიროს ადმინისტრაციისა და პროგრამების ხელმძღვანელების სამუშაო განრიგი და განსაზღვროს რა დროს უთმობენ ისინი ადმინისტრაციულ საქმიანობას და რა დატვირთვით არიან ჩართული სწავლების პროცესში.
3. კლინიკური პრაქტიკის განხორციელების დაწყებამდე პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა პირებმა შერჩეულ ინსტრუქტორებს ჩაუტაროს ტრენირება მოდულის განხორციელების სპეციფიკის, სწავლებისა და შეფასების მიმართულებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

VIII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 თებერვალის N2 ბრძანებით, ცვლილებები განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 4 მარტის N8 ბრძანებით, 2019 წლის 11 მარტის N9 ბრძანებით 2019 წლის 3 აპრილის N13 ბრძანებით, 2019 წლის 6 მაისის N14 ბრძანებით და 2020 წლის 20 თებერვლის N5 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.მარნეული, შოთა რუსთაველის 13ბ
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	80

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯს , პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14.06 №124 გადაწყვეტილების საფუძველზე, მიეცა უფლება საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ (მარნეული, შოთა რუსთაველის 13 ბ) განხორციელებასთან დაკავშირებით და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 40 ადგილით. კოლეჯი 2021 წლის 18 მარტის განაცხადით ითხოვს „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდას 40 სტუდენტით.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან. გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ მიმდინარე პროცესში პროგრამაზე ირიცხება 29 პროფესიული სტუდენტი, რომელთა მიღებაც განხორციელდა 2019 – 2020 წლებში. 40 პროფესიული სტუდენტიდან 8 ამ ეტაპზე ეუფლება პროფესიულ მოდულებს, ეს ჯგუფი პროფესიულ პროგრამას დაასრულებს 2022 წლის შემოდგომაზე, 2 ეუფლება ქართული ენის მოდულებს და 19 პროფესიული სტუდენტი რომელიც ეუფლება ქართულ ენას და იმყოფება ქართული ენა ბ1 მოდულის შესწავლის პროცესში, რომელსაც დაასრულებს 2021 წლის ზაფხულში

აღნიშნულიდან გამომდინარე და შრომის ბაზრის მოთხოვნის ანალიზის საფუძველზე შპს მარნეულის საზოგადოებრივმა კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით (40+40=80 პროფესიულ სტუდენტი).

კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ „საექთნო განათლების“ პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 2 აუდიტორია:

I - A გარემო - 36კვ.მ -20 პროფესიული სტუდენტისათვის (აუდიტორია A-N 19)

II – A, C გარემო - 36 კვ.მ - 20 პროფესიული სტუდენტისათვის (აუდიტორია A-N 20)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კოლეჯი სულ ახორციელებს 4 პროფესიულ პროგრამას. კოლეჯმა წარმოადგინა სხვა პროფეისული საგანმანათლებლო პროგრამების აუდიტორიების ჩამონათვალიც,. როგორც გამოიკვეთა, ყველა პროგრამას აქვს მისთვის განკუთვნილი აუდიტორია.

კოლეჯს გააჩნია 2 B გარემო. თითოეულში განთავსებულია 20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის და ერთი მასწავლებლის კომპიუტერი. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია B გარემოს გამტარუნარიანობის ცხრილი, რითაც დასტურდება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდილ სტუდენტთათვის B გარემოს გამტარუნარიანობა.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ აუდიტორიებში განთავსებულია მოდულის განსახორციელებლად საჭირო ყველა მატერიალური რესურსი (თვალსაჩინოებები, მულაჟები), რასთან დაკავშირებითაც კოლეჯმა წარმოადგინა განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში "მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო A,B,C გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეული საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს"

სასწავლო გეგმის განხილვის შემდეგ ირკვევა, რომ ერთი ჯგუფისთვის კვირეული დატვირთვა შეადგენს 35-40 საათს, საიდანაც დგინდება, რომ ორ აუდიტორიაში, ორ ცვლაში 35-40 საათიანი კვირეული დატირთვის პირობებში, რაც შეადგენს 70-80 საათს, სასწავლო პროცესის წარმართვა ეწინააღმდეგება კოლეჯის მიერ წარმოდგენილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში წარმოდგენილ ჩანაწერს. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის განმარტებით სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია კვირეული სტუდენტის საერთო (საკონტაქტო+დამოუკიდებელი+შეფასება) დატვირთვის მოცულობა და არა მხოლოდ საკონტაქტო დატვირთვა, რაც შეამცირებდა კვირეულ დატვირთვას. ექსპერტებმა სთხოვეს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს დამატებით ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მოეწოდებინა სასწავლო გეგმა, რომელშიც მითითებული იქნებოდა საკონტაქტო კვირეული დატვირთვები. კოლეჯმა გადმოაგზავნა სასწავლო გეგმა, თუმცა მასში მითითებულია კვლავ სტუდენტთა საერთო საათები, რის გამოც ექსპერტებმა მიიღეს გადაწყვეტილება ეხელმძღვანელათ სასწავლო გეგმაში მითითებული დატვირთვებით, რომელიც შეადგენს 35-40 საათს. კოლეჯის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ უკვე გაუქმებული „ბუღალტრული აღრიცხის" პროფესიული პროგრამისათვის დათმობილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

№5 აუდიტორია (A გარემო) დაეთმო „საექთნო განათლების“ პროგრამის განსახორციელებლად. ექპერტების ჯგუფმა ონლაინ დათვალიერებით დადგინეს, რომ აღნიშნული აუდიტორია არის გათვლილი 20 პროფესიულ სტუდენტზე და შესაბამისია „საექთნო განათლების“ პროგრამის განსახორციელებლად.

ამჟამად კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 სტუდენტს (2 ჯგუფს). კოლეჯის მიერ გამოყოფილი აუდიტორიები (№19, №20, №5) საკმარისია მხოლოდ 60 პროფესიული სტუდენტისათვის, აგრეთვე თავად კოლეჯის მიერ განსაზღვრულია, რომ პირველ წელს მიიღებს 20 სტუდენტს და მეორე წელს კიდევ 20 სტუდენტს. ამ პირობის დაცვით ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფი ეთანხმება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდას 20 სტუდენტით.

კოლეჯს პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ დაწესებულებებთან:

1. მარნეულში „ჯეო ჰოსპიტალსი“;
2. თბილისის „ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“;
3. თბილისის საქველმოქმედო ფონდ „კარიტასთან“.

პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტებიდან „ფსიკქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ განთავსებულია თბილისში. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის განმარტებით „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ მოდულის განხორციელების ვადაში სტუდენტები ივლიან თბილისში და მათ ტრანსპორტირებაზე კოლეჯი არ არის პასუხისმგებელი.

მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქველმოქმედო ფონდ „კარიტასთან“, რომელიც განთავსებულია თბილისში, კოლეჯი გეგმავს „ავადმყოფის მოვლა“ და „შინ მოვლა“ მოდულები განახორციელოს მარნეულში „ჯეო ჰოსპიტალსის“ ბაზაზე.

კლინიკური პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის გაფორმებული ხელშეკრულების პირობები განსაზღვრულია „საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტის მიერ, სადაც მითითებულია, რომ კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი ექთნისა და პროფესიული სტუდენტების/სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტები/სტუდენტები კლინიკური მოდულების გავლისას პირადი დაცვის საშუალებების გარეშე არ დაიშვებიან.

საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილი, პროფესიული სტუდენტების სწავლებაზე პასუხისმგებელი პერსონალის, ექთნის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის - მის ფუნქციებს, პასუხისმგებლობას, უფლება-მოვალეობებს, პროფესიული სტუდენტის წახალისებისა და პრობლემური ან/და სხვა საკითხის (რომელიც ეხება სწავლება-სწავლის პროცესსა და სწავლის შედეგების მიღწევას) განხილვის საკითხის დასმის უფლებამოსილებას.

„საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტის ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები დაწესებულებებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის დარეგულირებული და არ შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს.

ობიექტური დათვალიერებით კოლეჯს გააჩნია „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამისათვის 3 აუდიტორია, თითოეული პროფესიული სტუდენტის 20-20 ადგილით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი ჯგუფის კვირეული დატირთვა შეადგენს 35-40 საათს, კოლეჯს აქვს შესაძლებლობა ერთდროულად აღნიშნულ პროგრამაზე ჰყავდეს 60 სტუდენტი ერთ ცვლაში. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების, პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით კოლეჯს მინიჭებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 40 სტუდენტის რაოდენობით, რაც შეადგენს 2 ჯგუფს.

რეალური სასწავლო გარემოს შეფასების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ 20 სტუდენტით , რაც ჯამში შეადგენს 60 სტუდენტს. თუმცა კლინიკური პრაქტიკის განსახორციელებლად პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ შეესაბამება „საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ადამიანური რესურსების საკვალიფიკაციო მოთხოვნები ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯთან დისტანციურ ჩართვამდე. „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტის განმახორციელებელი 20 პირია, თეორიული კომპონენტის თითოეული მოდულის განმახორციელებელი 2 ან 3 პირია. რომელთა რაოდენობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები უზრუნველყოფს პროგრამის თეორიული კომპონენტის განხორციელების მდგრადობას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მხოლოდ 20 სტუდენტით გაზრდის შემთხვევაში.

რაც შეეხება კლინიკური (პრაქტიკული კომპონენტი) პრაქტიკის განმახორციელებელ პირებს, კოლეჯის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებიდან ირკვევა, რომ კლინიკური ობიექტები იღებენ ვალდებულებას ერთდროულად მიიღონ 20 პროფესიული სტუდენტი და ვალდებულნი არიან პრაქტიკის პროცესში ჩართონ კვალიფიცირებული სპეციალისტები-პრაქტიკის ინსტრუქტორები, რათა კოლეჯმა გაფორმოს მათთან ხელშეკრულებები.

კოლეჯმა წარმოადგინა კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელი პირების სია და დოკუმენტაცია, სადაც „საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელ პირების რაოდენობა და დატვირთვა ექსპერტთა მოსაზრებით საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მხოლოდ 20 სტუდენტით გაზრდის შემთხვევაში.

პროფესიულ მასწავლებელებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ მაგალითად გურანდა ბერიძე პროგრამაში ჩართულია, როგორც 11 თეორიული მოდულის განმახორციელებელი პირი. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის განმარტებით თითოეული მოდულის განმახორციელებელი 2-3 პირია, თუმცა ყველა მათგანი არ არის ჩართული სწავლების პროცესში, არამედ ზოგირთ მათგანს აქვს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს სწავლება. ასევე შეიძლება ითქვას პროფესიულ მასწავლებელ მირანდა ბერიძეზე. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით ვერ ირკვევა ვინ არის კონკრეტული მოდულების განმახორციელებელი პირები და რომელია ის მასწვლებლები, რომელთაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში ჩაერთონ მოდულების განხორციელების პროცესში. აქედან გამომდინარე ვერ დგინდება პროფესიულ მასწავლებელთა დატვირთვები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

კოლეჯს ეძლევა შემდეგი რეკომენდაცია განსაზღვროს კონკრეტული მოდულების განმახორციელებელი პირები და რომელ მასწავლებლებს მოიაზრებს საჭიროების შემთხვევაში ამ მოდულების განმახორციელებლად.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საექთნო განათლების“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დისტანციურ ჩართვამდე შემოწმდა მათი პირადი საქმეები. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ განსახორციელებლად, პროფესიული განათლების მასწავლებლები, აყვანილნი არიან დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე და აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია და კვლავაც გეგმავენ პროფესიული მასწავლებლების შემდგომ განვითარებას.

კლინიკური პრაქტიკის გამოცდილება ჯერ კოლეჯს არ გააჩნია.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კლინიკა „ჯეო ჰოსპიტალსის“ თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის მოდულის განმახორციელებელ პირს, რომელმაც აღნიშნა, რომ მას აქვს სხვა კოლეჯის მიერ პრაქტიკის განხორციელების გამოცდილება, იცნობს მოდულის განხორციელების სპეციფიკას, როგორც სწავლების ასევე შეფასების მიმართულებით, რაც ექსპერტთა ჯგუფმა დამაჯერებელ პასუხად ჩათვალა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

. კოლეჯს ეძლევა რეკომენდაცია კლინიკური პრაქტიკის განხორციელების დაწყებამდე პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა პირებმა შერჩეულ ინსტრუქტორებს ჩაუტაროს ტრენირება მოდულის განხორციელების სპეციფიკის, სწავლებისა და შეფასების მიმართულებებით.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი**

„საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის ასევე კლინიკა „ჯეო ჰოსპიტალსის“ საექთნო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მას უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია (პროფესიით არის ექთანი) თუმცა კოლეჯის მიერ არ არის დარეგულირებული პროგრამის ხელმძღვანელობასა და სწავლებაში ჩართულობას შორის დროის გადანაწილება. პროგრამის ხელმძღვანელი კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად კოლეჯის დირექტორის ბრძანებით არის დანიშნული.

კოლეჯს ეძლევა რეკომენდაცია დაარეგულიროს ადმინისტრაციისა და პროგრამების ხელმძღვანელების სამუშაო განრიგი და განსაზღვროს რა დროს უთმობენ ისინი ადმინისტრაციულ საქმიანობას და რა დატვირთვით არიან ჩართული სწავლების პროცესში

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულებამ ონლაინ ჩართვაში ექსპერტებს წარმოგვიდგინა და დაგვათვალიერებინა **„საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო** პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია ბეჭდური ან ელექტრონული სახით სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
წარმოდგენილი სახელმძღვანელოები და ელექტრო მატარებლებზე ჩატვირთული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

კოლეჯს ამ ეტაპამდე „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სსსმ პირი არ ჰყოლია. როგორც კოლეჯის დირექტორთან, ხარისხის მართვის სპეციალისთთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დგინდება, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი გამოთქვამს მზადყოფნას უზრუნველყოს ისინი სრული საგანმანათლებლო რესურსით, მოახდინოს მოდულების მოდიფიცირება და ადაპტირება მათი საჭიროების გათვალისწინებით.

ამ ეტაპზე კოლეჯს არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, თუმცა კოლეჯი გამოთქვამს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს კოლეჯი ამ კადრით. კოლეჯს გაწერილი აქვს მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უფლება მოვალეობები, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ის პროცედურა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთათვის სწავლისას და სამეწარმეო პრაქტიკისას ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას მოემსახურება.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯმა წარმოადგინა პროგრამა „საექთნო განათლების“ ბიუჯეტი. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 15 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასურია, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს ბიუჯეტში გადასარიცხი წილი, პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, პრაქტიკის ბაზები, მასალა და ნედლეული, დიპლომის/დანართების მომზადება და მოგების წილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის ზღვრული რაოდენობის გაზრდის დასაბუთება;
- პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები;
- „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი;
- „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური რესურსი;
- B გარემოს გამტარუნარიანობის ცხრილი;
- აუდიტორიების გამტარუნარიანობის ცხრილი;
- საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ ბიუჯეტი;
- ონლაინ დათვალიერების შედეგები;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგები;
- კოლეჯის დირექციასთან გასაუბრების შედეგები;
- პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის სასწავლო გეგმა.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი.

19.05.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: